

ანა გიორგაძე

Bilateral გაცვლითი პროგრამის მონაწილე (Istanbul Bilgi University)

კავკასიის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა (CSH)

“ჩემთვის ძალიან სამახსოვრო და ემოციური მომენტი იყო, როცა გაცვლით პროგრამაში მოვხვდი. წარმოვიდგინე თუ რა გამოცდილებას მივიღებდი, რამდენ სიახლეს გავეცნობოდი და როგორი მნიშვნელოვანი იქნებოდა ეს ჩემი განვითარებისა და ცოდნის ამაღლებისთვის. ყოველთვის მიზნად ვისახავდი განათლება მიმეღო საზღვარგარეთ და ამავედროულად გავცნობოდი სხვა ქვეყნის კულტურას. ისტორიულმა, ზღვისპირა სტამბოლმა კი ჩასვლისთანავე მომხიზლა თავისი სილამაზით და ჰარმონიით. ვსწავლობ ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე. საგნებიდან განსაკუთრებით გამოვარჩევდი ორგანიზაციულ ფსიქოლოგიას, რადგან მოიცავს ბევრ საინტერესო პრაქტიკულ დავალებას და დისკუსიას. თავად საგნის მთავარი მიზანია გაზარდოს ადამიანის პროდუქტიულობა და აამაღლოს მოტივაცია სამუშაო გარემოში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანის კეთილდღეობისთვის. ბილგის უნივერსიტეტის კამპუსი ერთ დიდ ქუჩას ჰგავს, რომელიც მყუდრო და სასიამოვნო ატმოსფეროთი გამოირჩევა. სტუდენტური ცხოვრება დინამიკურია. უნივერსიტეტში უამრავი სპორტული აქტივობაა, ასევე იმართება ფილმის ჩვენებები და სხვადასხვა ღონისძიებები. თავისუფალ დროს დაუსრულებლად ვსეირნობ სტამბოლის ქუჩებში და ვაკვირდები ხალხს. ვეცნობი სტამბოლის ღირსშესანიშნაობებს, კულტურას, ცხოვრების სტილს და ტრადიციებს. სახლში ყოფნისას კი მონატრებულ ოჯახის წევრებს ვესაუბრები საათობით. გაცვლითი პროგრამა კიდევ უფრო მეტ დამოუკიდებლობას ითხოვს. ეს პირველ რიგში საკუთარი თავის გამოცდაა. თითოეული ეტაპი საინტერესოა და სტრესულიც, მაგრამ ამასთანავე სხვა გამოწვევებისა და თავგადასავლისკენ გიბიძგებს, ამიტომ ძალიან მადლიერი ვარ რომ ეს შესაძლებლობა მომეცა, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ მიღებული ცოდნა და გამოცდილება დამეხმარება მომავალში.”